



ახალგაზრდა მკვლევრების მოზიდვის ძირითადი სტრატეგიები

- 1.** წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) ახალგაზრდა მკვლევრების მოზიდვისა და მათი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის მიზნით.
- 2.** უმაღლესი განათლების ხარისხი პირდაპირ კავშირშია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობასთან, ხოლო უნივერსიტეტის წარმატება, პირველ რიგში, დამოკიდებულია მისი აკადემიური/მონვეული/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციაზე, პედაგოგიურ უნარებსა და კვლევით პოტენციალზე. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი ზრუნავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვაზე და მათ ჩართვაზე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ახალგაზრდა მკვლევრებზე, ვინაიდან თაობათა ცვლა მეცნიერების სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარია. სამეცნიერო კვლევებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის მნიშვნელობა ხაზგასმულია „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რათა დაძლეულ იქნას მკვლევართა დაბერების პრობლემა ქვეყანაში.
ახალგაზრდა კადრები უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს წარმოადგენს, რადგან ისინი განსაკუთრებით მოტივირებულნი არიან და დიდი ინტერესი, უნარი და მონდომება გააჩნიათ ახალი იდეებისა და მიდგომების შეთვისებისა და დანერგვისათვის.
- 3.** უნივერსიტეტი საკუთარი კვლევითი პოტენციალის შეფასებისა და მისი გაზრდის საჭიროების განსასაზღვრად, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განვითარების დონის დასადგენად და არსებული ხარვეზების გამოსავლენად სტაბილურად უნდა ახორციელებდეს კვლევითი საქმიანობის მონიტორინგს, მისი როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასებას კვლევაში ჩართული პირების ასაკობრივი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

მაჩვენებლების გათვალისწინებით, რათა სწორად დაიგეგმოს შემდგომი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საკადრო უზრუნველყოფის ღონისძიებები.

4. ახალგაზრდა მკვლევრების მოსაზიდად აუცილებელია:

- უნივერსიტეტის ხელსაყრელი და ხელის შემშლელი ფაქტორების შესწავლა;
- მოზიდვის პრიორიტეტების შემუშავება;
- მოზიდვის აქტიური ფორმების გამოყენება;
- განვითარებასა და ხელშეწყობაზე ორიენტირებული პირობების შეთავაზება.

4.1. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ხორციელდება პერსონალის და სტუდენტების გამოკითხვა მათი კმაყოფილების ხარისხის განსასაზღვრად და არსებული ხარვეზების გამოსავლენად. გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით, იგეგმება ღონისძიებები ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად (სადაც ეს შესაძლებელია) და ხელშეწყობი ფაქტორების და გარემოებების კიდევ უფრო სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით.

4.2. უნივერსიტეტში წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, ხორციელდება ახალგაზრდა კადრების მოზიდვის გრძელვადიანი პრიორიტეტების შემუშავება, რაც, თავის მხრივ, შესაძლებლობას აძლევს უნივერსიტეტს, განსაზღვროს მოზიდვის სტრატეგიები და კონკრეტული სამიზნე ჯგუფები.

4.3. კვალიფიციური კადრების მოზიდვის თვალსაზრისით უნივერსიტეტებს შორის არსებული კონკურენციის გათვალისწინებით, სასურველია, მოზიდვის პასიურ ფორმებთან ერთად (უნივერსიტეტის ვებგვერდზე ან ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსება) უნივერსიტეტმა მოზიდვის აქტიურ ფორმებსაც მიმართოს. ასეთად ჩაითვლება: მაგისტრატურის და დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა საინფორმაციო ბაზის შექმნა მეცნიერების დარგების მიხედვით და მათთან უშუალოდ დაკავშირება უნივერსიტეტში დასაქმების/კვლევითი პროექტის განხორციელებაში ჩართვის მიზნით; უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის წევრების პირადი კონტაქტების გამოყენება ახალგაზრდა მკვლევრებთან დაკავშირებისა და მათი მოზიდვის მიზნით; სხვადასხვა აკადემიურ კონფერენციებზე, სემინარებსა და შეხვედრებზე ინფორმაციის გავრცელება უნივერსიტეტში არსებული საჭიროებების შესახებ და პოტენციურ კანდიდატებთან პროფესიული ურთიერთობის დამყარება.

4.4. უნივერსიტეტი უნდა სთავაზობდეს დამწყებ მკვლევრებს ე.წ. დახმარების პროგრამებს, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტის გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლები დახმარებას გაუწევენ ახალგაზრდა კადრებს კვლევით საქმიანობაში,

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

განახორციელებენ უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებულ კვლევით პროგრამებს ახალგაზრდა მეცნიერებისთვის, კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებს;

შეთავაზებენ ეფექტური კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს; მოქნილ სამუშაო განრიგს; ღირსეულ ანაზღაურებას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება ზრდის ტენდენცია ახალგაზრდა კადრის პროფესიული გამოცდილებისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის ზრდის პარალელურად.